IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინტეგრაცია საქართველოს ეროვნულ საჯარო პოლიტიკის სისტემაში

სექტემბერი, 2019

შინაარსი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 3

შეზღუდვები 5

კავშირების შეჯამება 6

ცხრილი 1 - შესწავლილი პოლიტიკის დოკუმენტები 9



შესავალი

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1 რეზოლუციით[1] მიიღო 2030-ის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და სამ განზომილებაში ერთიანდება - ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი. 2015 წლიდანვე საქართველოს მთავრობამ გამოხატა მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერა მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგის მიმართ და მიზნად დაისახა ყველა 17 მიზნისა და მათი ამოცანების იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე.

ნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის შერჩეულ იქნა არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებთან მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების დაკავშირების ჰორიზონტალური ინტეგრაციის მოდელი. განსხვავებით ვერტიკალური მეთოდისგან, როდესაც იქმნება ერთიანი ახალი ყოვლისმომცველი მდგრადი განვითარების სტრატეგია, ჰორიზონტალური ინტეგრირების მოდელი გულისხმობს გლობალური მიზნებისა და მათ ამოცანათა დაკავშირებას და ასახვას არსებულ თემატურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

მოცემული ანალიზის მიზანს წარმოადგენდა სწორედ იმის დადგენა თუ რამდენად მოიცავენ არსებული ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანათა შესაბამის ინდიკატორებს. არსებული სურათის სწორი შეფასება დაეხმარება საქართველოს მთავრობას მოახდინოს პრობლემური მიმართულებების იდენტიფიცირება და გადადგას ეფექტური ნაბიჯები შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის მიმართულებით.

მოცემული დოკუმენტი თავდაპირველად მიმოიხილავს შეფასების მეთოდოლოგიას, რის შემდეგაც მოცემულია მიზნების პოლიტიკის დოკუმენტებთან ინტეგრაციის არსებული მდგომარეობის სტატისტიკური შეჯამება. დეტალური ინფორმაცია თითოეული მიზნის ამოცანებისა და ინდიკატორების საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრირების შესახებ მოცემულია Mirosoft Excel-ის დოკუმენტის სახით (იხ. დანართი 1 - კავშირები).

მეთოდოლოგია

კავშირების დადგენისას IDFI-მ გამოიყენა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის ე.წ. „მატრიცის“ მიმდინარე წლის მაისის ვერსია. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მიზნები 5 და 16. ამ შემთხვევებში კავშირების დადგენისას IDFI-მ შესაბამისად იხელმძღვანელა „მატრიცის“ ივნისის და აგვისტოს ვერსიებით.

---

1 http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf

IDFI-მ სულ შეისწავლა 70-ზე მეტი სტრატეგიული დოკუმენტი (იხ. ცხრილი 1) და შეაფასა, თუ რამდენად მოიცავდნენ ისინი მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანებსა და ინდიკატორებს. აღნიშნული დოკუმენტები IDFI-მ მიიღო ორი გზით - უწყებებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების გაგზავნისა და პროაქტიულად გამოქვეყნებული ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი ინფორმაციის საშუალებით.

საქართველოს საჯარო პოლიტიკის სისტემაში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის ხარისხის დასადგენად IDFI-მ გამოიყენა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები [2], რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანათა ინდიკატორებსა და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებს შორის კავშირის სამი შესაძლო ხარისხი:

სრული კავშირი: მინიმუმ ერთი ეროვნული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია საკითხი, რომელიც მოცულობითა და ამბიციურობით სრულად შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნის ამოცანის ინდიკატორს ან/და ორი ან მეტი ეროვნული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია საკითხები, რომლებიც ერთიანობაში სრულად შეესაბამება ინდიკატორს.

ნაწილობრივი კავშირი: ეროვნული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტით/დოკუმენტებით გათვალისწინებულია საკითხი/საკითხები, რომელიც როგორც ცალ-ცალკე ისე ერთიანობაში სრულად არ ასახავს მდგრადი განვითარების მიზნის ამოცანის ინდიკატორის მოცულობასა და ამბიციურობას.

არ არის კავშირი: არც-ერთ ეროვნული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული მდგრადი განვითარების მიზნის ამოცანის ინდიკატორის შესაბამისი საკითხი.

ე.წ. MAPS-ის (Mainstreaming, Acceleration and Policy Support) მისიის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისგან განსხვავებით, IDFI-ის ანალიზის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ კავშირები გაანალიზებულია ინდიკატორების და არა მხოლოდ ამოცანების დონეზე. ამასთან კავშირების დადგენისას IDFI-იმ გამოიყენა ათეულობით ისეთი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არ იქნა გაანალიზებული MAP-ის მისიის მიერ (იხ. ცხრილი 1).

[2] United Nations Development Programme (UNDP), Rapid Integrated Assessment (RIA) To facilitate mainstreaming of SDGs into national and local plans, 2017, pp. 13-14

შეზღუდვები

აღსანიშნავია, რომ ანალიზის პროცესში მნიშნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. მრავალი მათგანი არ იყო გამოქვეყნებული პროაქტიულად შესაბამისი უწყებათა ვებგვერდებზე. არსებული წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას. 2013 წლის 26 აგვისტოს მთავრობის №219 დადგენილების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები განეკუთვნება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას, რომელიც განახლებადია ცვლილების შემთხვევაში.

ამასთან, IDFI-მ ვერც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა გაგზავნის შედეგად შეძლო მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია არსებული პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ. მრავალმა უწყებამ უპასუხოდ დატოვა ჩვენი განცხადება, ან ინფორმაცია გასცა არასრულყოფილი სახით.

შესაბამისად ანალიზი არ მოიცავს იმ პოლიტიკის დოკუმენტებს, რომლებიც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების პასუხად არ გასცეს საჯარო უწყებებმა და რომლებიც არც სხვა გზით იყო ხელმისაწვდომი IDFI-სთვის.

კავშირების შეჯამება

მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანათა შესაბამისი ინდიკატორების თითქმის ნახევარი მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული თემატურ სტრატეგიებში, 28% საერთოდ არ არის ასახული, ხოლო სრული კავშირი მხოლოდ ინდიკატორთა 23% შემთხვევაშია სახეზე (იხ. გრაფიკი 1). გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია, ყველა ნაციონალიზებული ამოცანის შესაბამისი ინდიკატორი (და არა მხოლოდ ამოცანები) ზუსტად იყოს გაწერილი შესაბამის სახელმწიფო სტრატეგიებში.

გრაფიკი 1. კავშირების შეჯამება



ამასთან ანალიზის შედეგად დაგინდა, რომ რაოდენობრივად ყველაზე მეტი სრული კავშირი SDG 3 და SGD 16 შემთხვევაშია სახეზე, შესაბამისად 21 და 12 სრული კავშირით. SDG 1, 6, 7, 9, 11 და 12 ის შემთხვევაში კი სრული კავშირი არც ერთი ინდიკატორის შემთხვევაში არ არის სახეზე (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. სრული კავშირის რადენობრივი მაჩვენებლები მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით



რაც შეეხება ნაწილობრივი კავშირის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ყველაზე მეტი ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკავშირებული ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან SDG 16-ის შემთხვევაში - 37 ინდიკატორი და SDG 5-ის შემთხვევაში - 14 ინდიკატორი. არცერთი ნაწილობრივი კავშირი არ არის სახეზე SDG 13-ის შემთხვეაში (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. ნაწილობრივი კავშირის რადენობრივი მაჩვენებლები მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით



რაოდენობრივად ყველაზე მეტ შემთხვევაში კავშირი ვერ დადგინდა ვერც-ერთ ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტთან SDG 4, SDG 8, SDG 16 და SDG 3-ის ინდიკატორების შემთხვევებში, შესაბამისად 12, 11, 10 და 9 ინდიკატორით. 1, 7, 11, 12, 13, 14 მიზნების შემთხვევაში კი სახეზე არ იყო არცერთი ისეთი ინდიკატორი რომელიც კავშირში არ იქნებოდა ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4. კავშირის არ არსებობის რადენობრივი მაჩვენებლები მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით



მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან კავშირის შესახებ სრული რაოდენობრივი მონაცემები იხილეთ გრაფიკ 5-ზე.

გრაფიკი 5. ინდიკატორთა კავშირები ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით



ცხრილი 1 - შესწავლილი პოლიტიკის დოკუმენტები

1.	MAPS IDFI	სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
2.	MAPS IDFI	2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა
3.	MAPS IDFI	პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020
4.	MAPS IDFI	გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021
5.	MAPS IDFI	მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020
6.	MAPS IDFI	2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“
7.	MAPS IDFI	დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა
8.	MAPS IDFI	მიგრაციის სტრატეგია 2016-2020
9.	MAPS IDFI	საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020
10.	MAPS IDFI	სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2017-2018 და სამოქმედო გეგმა 2019-2020 (პროექტი)
11.	MAPS IDFI	ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის (2017)
12.	MAPS IDFI	გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2014-2022
13.	MAPS IDFI	2014 – 2020 წ.წ. ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
14.	MAPS IDFI	ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა
15.	MAPS IDFI	ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018-2020)
16.	MAPS IDFI	ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018-2020)
17.	MAPS IDFI	სამთავრობო პროგრამა „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“ 2018-2020

18.	MAPS IDFI	საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“
19.	MAPS IDFI	საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია
20.	MAPS	ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
21.	IDFI	ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (BDD)
22.	IDFI	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019-2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
23.	IDFI	2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები
24.	IDFI	ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020
25.	IDFI	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა 2019-2022
26.	IDFI	საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
27.	IDFI	პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა
28.	IDFI	საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმა
29.	IDFI	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019-2022 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
30.	IDFI	პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2013-2015
31.	IDFI	საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025, ელექტროენერგეტიკის ნაწილი (არ არის დამტკიცებული)
32.	IDFI	საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2017-2026, ბუნებრივი გაზის ნაწილი (არ არის დამტკიცებული)
33.	IDFI	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა
34.	IDFI	მიწის რეგისტრაციისა და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია

35.	IDFI	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური) სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2016- 2019 წ.
36.	IDFI	სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020
37.	IDFI	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა
38.	IDFI	სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2018-2022
39.	IDFI	საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმა
40.	IDFI	ტექნიკური რეგლამენტი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ
41.	IDFI	ჰაერის დაბინძურების შემცირების ეროვნული პროგრამა
42.	IDFI	ევროკავშირთან აპროქსიმაციის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების სფეროებში (შემუშავებულია 2016 წელს)
43.	IDFI	საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
44.	IDFI	საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ
45.	IDFI	საქართველოში სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2011-2014
46.	IDFI	მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა
47.	IDFI	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017-2019 წწ. საქმიანობის სტრატეგია
48.	IDFI	სტატისტიკური სამუშაოების 2019 წლის პროგრამა
49.	IDFI	ციფრული საქართველო ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018
50.	IDFI	ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა
51.	IDFI	ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა
52.	IDFI	ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2019-2020
53.	IDFI	პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2019 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

54.	IDFI	საჯარო მმართველობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა
55.	IDFI	საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022
56.	IDFI	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმა 2019
57.	IDFI	სიმსუქნის პრევენციის სტრატეგია საქართველოში
58.	IDFI	2013 - 2018 წლების თამბაქოს კონტროლის სამოქმედო გეგმა
59.	IDFI	ალკოჰოლის საზიანო მოხმარების შემცირების სახელმწიფო სტრატეგია 2015
60.	IDFI	შაქრიანი დიაბეტის კონტროლის ეროვნული
61.	IDFI	კიბოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2017-2020
62.	IDFI	საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა 2014
63.	IDFI	საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია
64.	IDFI	საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია
65.	IDFI	ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია
66.	IDFI	პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
67.	IDFI	ტრავმატიზმის და ძალადობის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია (2013-2018)
68.	IDFI	საჯარო სამსახურის ბიუროს 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა
69.	IDFI	სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგიის მიმართულებები 2018-2021 წლებისთვის
70.	IDFI	საქართველოს პროკურატურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2018-2022
71.	IDFI	ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა
72.	IDFI	არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმა 2018-2020
73.	IDFI	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა 2015-2019
74.	IDFI	„ღია პარლამენტის“ 2018-2019 წლების სამუშაო გეგმა